ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №17

ქ. დმანისი **2020 წელი**

ერთის მხრივ, **დმანისის მუნიციპალიტეტის მერია** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ტატუაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „ალტა რითეილი" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი გიორგი ჟურულიას სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველი უკვეთავს, ხოლო მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემდეგი სახის საქონელი: (კომერციული წინადადება # SO/1137117)

N	CPV	დასახელება	რაოდენობა	ზომის ერთ.	ერთ.ფასი(ლარი)	სულ თანხა(ლარი)
1	30233150	PC Components/ ODD/ DVD+-R/RW/ GMB DVD-USB-02 EXTERNAL USB DVD DRIVE	5	ცალი	57,99	289,95
სულ ჯამი						289,95

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 289,95 ლარს (დღგ-ის გათვალისწინებით).

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები:

- მიწოდებული საქონლის დასახელება;
- მიწოდებული საქონლის მოცულობა;
- მიწოდებული საქონლის ღირებულება.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-ნატო სამადაშვილი.

6. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1. საქონლის მიწოდების ვადაა- ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში

6.2. საქონლის მიწოდების ადგილი: ქ.დმანისი, წმინდა ნინოს ქ.N41

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია** ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. **შემსყიდველი ვალდებულია** უზრუნველყოს მიმწოდებლი საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. **მიმწოდებელი უფლებამოსილია** მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობის. იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში.

გ) იმ შემთხვევაში, თუ გაწეული საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-ნატო სამადაშვილი.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11.დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და

დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. საგარანტიო პირობები და ვადა.

13.1. მყიდველი მოცემული ხელშეკრულების ხელმოწერით ადასტურებს, რომ პროდუქციის მიწოდებისას მას გ ადაეცა საგარანტიო ტალონი,რომლითაც განსაზღვრულია, საგარანტიო ვადა და საგარანტიო მომსახურების პი რობები. მყიდველი ადასტურებს, რომ ის ეთანხმება აღნიშნულ პირობებს.

13.2. საგარანტიო ტალონი წარმოადგენს მოცემული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და გააჩნია ხელშეკრ ულებასთან გათანაბრებული ძალა.

13.3. ხელშეკრულების 2.1 პუნქტით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადა შეადგენს 1(ერთი) წელს, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 მაისის ჩათვლით.

15. რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
დმანისის მუნიციპალიტეტი მის.: ქ. დმანისი, წმ. ნინოს №41 საიდენტიფიკაცო კოდი: 228928391 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა TRSGE22 ერთიანი ანგარიში: GE24NB0330100200165022 ტელ.: 0(360) 22-11-53 ელ-ფოსტა: dmanisi.mun@gmail.com	შპს ალტა რითეილი მისამართი: ქ. თბილისი, ჩაჩავას ქ. N2-4-6-8-10-12 საიდენტიფიკაციო კოდი: 402033312 ბანკი: საქართველოს ბანკი ბანკის კოდი: BAGAGE22 IBAN ანგარიში: GE24BG0000000648700100 ტელ.: +995 32 2380038 ელ-ფოსტა:retail@alta.ge
დმანისის მუნიციპალიტეტის მერი **გიორგი ტატუაშვილი** dmanisi municipality Digitally signed by dmanisi municipality Date: 2020.01.17 11:40:20 +04'00'	**გიორგი ჟურული** Giorgi Juruli Digitally signed by Giorgi Juruli Date: 2020.01.17 13:41:27 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.დმანისი **2020წ.**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ 2020 წლის №17 ხელშეკრულებით განსაზღვრულ სახელმწიფო შესყიდვაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია

დმანისის მუნიციპალიტეტის მერი _____ გიორგი ტატუაშვილი

მერიის ეკონომიკის სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი Nato Samadashvili Digitally signed by Nato Samadashvili Date: 2020.01.17 11:55:56 +04'00' _____ ნატო სამადაშვილი

შპს ალტა რითეილი

ქ. თბილისი, ჩაჩავას ქ. N2-4-6-8-10-12
+995 32 2380038
retail@alta.ge / www.alta.ge

კომერციული წინადადება # SO/1137117
ფილიალი: ინტერნეტ მაღაზია
მისამართი: ქ. თბილისი, ჩაჩავას ქ. N2-4-6-8-10-12

თარიღი: 2020-01-14
გვერდი: 1 (1)

შპს ალტა რითეილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩაჩავას ქ. N2-4-6-8-10-12
საიდენტიფიკაციო კოდი: 402033312
ბანკი: საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
IBAN ანგარიში: GE24BG0000000648700100

გადამხდელი: დმანისის მუნიციპალიტეტი

კოდი: 228928391
მისამართი: ქ.დმანისი წმინდა ნინოს 41
ტელეფონი: 599 898890

მიმღები: ეკა ციხელაშვილი

კოდი: 228928391
მისამართი: ქ.დმანისი წმინდა ნინოს 41
ტელეფონი: 599 898890

#	დასახელება	რ-ბა	ზომის ერთ.	ერთ. ფასი (ლარი)	სულ თანხა (ლარი)
1	PC Components/ ODD/ DVD+-R/RW/ GMB DVD-USB-02 EXTERNAL USB DVD DRIVE	5	ცალი	57.9900	289.95
				სულ ჯამი:	289.95

დ.ღ.გ.-ს ჩათვლით

თანხა სიტყვიერად: ორას ოთხმოცდაცხრა ლარი და 95 თეთრი

წინადადება ძალაშია 3 დღე

მენეჯერი: ცომაია დავით

თანხის გადმორიცხვისას, გთხოვთ, საფუძველში მიუთითოთ ფილიალი (ინტერნეტ მაღაზია) და კომერციული წინადადების ნომერი (SO/1137117)!

პირადობის მოწმობისა და ბეჭდის (ან მინდობილობის) გარეშე საქონელი არ გაიცემა!

.